საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 235
თარიღი: 13 08 2014 წ.

N 4671/1
08/08/2014

4671-1-2-201408081323

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS) დირექტორს

ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 30 ივლისის #1/24564 წერილი კომპანიაში სხვადასხვა პერიოდში დასაქმებულ პირთა რაოდენობასა და კომპანიის ხელმძღვანელობაზე გაცემული სახელფასო სარგოს ოდენობების შესახებ. მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

- 2010 წლის 14 იანვრიდან 2012 წლის 05 დეკემბრამდე კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა (მაქსიმალური რაოდენობა) შეადგენდა 2683.
- 2014 წლის 05 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 2736.
- 2012 წლის 05 დეკემბრიდან დღემდე დირექტორის მოადგილეების რაოდენობა შეადგენს ხუთს.
- 2010 წლის 14 იანვრიდან 2012 წლის 05 დეკემბრამდე სხვადასხვა დროს დირექტორის მოადგილეების რაოდენობა შეადგენდა ოთხს ან ხუთს.

თქვენს მიერ ამავე წერილით მოთხოვნილია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დირექტორსა და დირექტორის მოადგილეებზე გაცემული სახელფასო სარგოს (მათ შორის დანამატი, პრემია) ოდენობები. აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია დაკავშირებულია კომპანიაში დასაქმებულ პირთა პერსონალურ მონაცემებთან, რაც შესაძლებელს ხდის მათ იდენტიფიცირებას ეკონომიკური ნიშნით. მოქმედი კანონმდებლობა („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი) განსაზღვრავს ამგვარი კატეგორიის მონაცემთა დამუშავების განსაკუთრებულ წესს, აგრეთვე, ადგენს ამ მონაცემთა მესამე პირებზე გაცემისათვის მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის არსებობის ვალდებულებას.

L.L.C.

შპს
საქართველო, ქ.თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას ბულ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ფაქსი: (99532) 2919061
ს/კ: 412670097

e-mail: info@waten.gov.ge
www.waten.gov.ge

76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60
Fax: (995 32) 2 91 90 61

გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორი, რომლის ქონებრივი მდგომარეობის, მათ შორის შრომითი ანაზღაურების საჯაროობას ადგენს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის IV თავის მიზნებისთვის კომპანიის დირექტორი წარმოადგენს თანამდებობის პირს, შესაბამისად მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დეკლარირებული, საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. რაც შეეხება 2010 წლის 14 იანვრიდან 2012 წლის 5 დეკემბრამდე კომპანიის დირექტორის პოზიციაზე დასაქმებული პირის სახელფასო სარგოს (მათ შორის პრემია, დანამატი), გაცნობებთ, რომ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის დეფინიციის ქვეშ მოექცა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 29 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე. შესაბამისად, მითითებულ პერიოდში კომპანიის დირექტორი არ წარმოადგენდა ქონებრივი დეკლარაციის წარდგენაზე პასუხისმგებელ სუბიექტს. გამომდინარე აქედან, ამ შემთხვევაშიც მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა საჭიროებს პირის წერილობით თანხმობას, რაც შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ არ გააჩნია და არც თქვენს მიერაა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია კომპანიაში დასაქმებულ პირთა სახელფასო სარგოს თაობაზე მათივე წერილობითი თანხმობის გარეშე. რაც შეეხება კომპანიის დირექტორის გასული საანგარიშო წლის შემოსავლებს, აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის ამსახველ ელექტრონულ ბაზაში (www.declaration.gov.ge)

პატივისცემით,

მაია ზავრაშვილი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული დეპარტამენტი